სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/03

ქ. თბილისი 27 იანვარი 2023 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის და მისი სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელის, პროფესორ ზაზა სოფრომაძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 იანვრის №01-05-02/03 სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 2023 წლის 16 იანვარს გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის ასარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია და მისი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

საკონკურსო კომისია:

თამარ წერეთელი -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ლიანა თარგამაძე -საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის საქმისწარმოების

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ ცინცაძე -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-

რექტორი;

თინათინ გოგნაძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

მანანა ფურცელაძე - ფსიქოლოგი;

საკონკურსო კომისიის სამდივნო:

ელენე ებანოიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა გეწაძე -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის მე-4 სასწავლო კორპუსში (კოსტავას,77) თვალსაჩინო ადგილას.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**